



საქართველოს ხელ.

საბჭ. რესპუბლიკის



34(05)

6-29.

მუშათა და გლეხოთა მთავრობის

# კანონის და განცხარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა ხელშის და ეკონომიკი სამინისტროს  
სამინისტროს მთავრობის გამოცემა

1934 წ. ეპუნი 25.

№ 23

ც ფ ი ღ ი ს

შ ი ნ ა ბ რ ს ი

სამოქალაქო სამართალი

191. განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა საწარმოთა და ორგანიზაციათა-  
თვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ.

## სამოქალაქო სამართალი

191. დადგინდება ც.ა.კ. და ს.კ.ც.

განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზა-  
ციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთე-  
ბის გადაცემის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიწის ნაკვეთები, როგორც ცარიელი, ისე შენობიანი, ეძლევათ მშენებ-  
ლობისათვის, უვადო სარგებლობის უფლებით, განსაზოგადოებული სექტორის  
შემდეგ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ:

ა) როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე, ისე სამეურნეო  
ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ;

ბ) კომპერატიულ ცენტრებს და შენაერთებს, აგრეთვე კომპერატიულ  
სისტემაში შემავალ პირებისათვის სახის კომპერატივებს (სსრკ კან. კრ. 1929 წ.  
51 №-ი, მუხ. 462; 1933 წ. 61 №-ი, მუხ. 366), მათ შორის საბინაო-სამშენებ-  
ლო კომპერატიულ ამხანაგობებს, მომქმედი საერთო-საკავშირო კანონმდებლო-  
ბით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი,  
მუხ. 14).

2. შენობიანი მიწის ნაკვეთები შეიძლება გადაცემულ იქნეს უვადო სარ-  
გებლობის უფლებით იმ შემთხვევაში, უკეთ სამშენებლო სამუშაოების ღირე-

1548

ბულება უწყებულ ნაკვეთზე უდრის ან აღმატება გადასაცემ არა ასალებულ შენობებით ბათა ლირებულებას.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ საფუძველზე შეიძლება გადაცემულ იქნეს უვა-  
დო სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთები შემდეგი შენობებით:

ა) დაუმთავრებელი შენობით—დასამთარვებლად;

ბ) დაქცეული შენობით—აღსაღენად;

გ) ახალი შენობის მისაშენებლად ვარგისი შენობით, რომლის არსებული  
კედლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს;

დ) ახალ სართულთა დაშენებისათვის ვარგისი შენობით;

ე) მცირეზომიანი და მცირეფისიანი შენობით, რომლის გადაკეთებასაც  
დიდებულარულიან და დიდეთასიან სახლად სათანადო ადგილობრივი საბჭო სცნობს  
მეურნეობრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილად;

ვ) ისეთი შენობით, რომელიც უშენობოდ (ცარიელად) სტოვებს დასასახ-  
ლებელი ნაკვეთის თვალსაჩინო ნაწილს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს და-  
მატებითი შენობების ასაგებად, რა შენობებიც ტექნიკურად დაკავშირებულ იქ-  
ნება არსებულ შენობებთან საერთო ეზოთი და ერთიანი წყალსაღენისა, კანალი-  
ზაციისა და ცენტრალური გათბობის ქსელით.

4. ქალაქებსა და მუშათა დაბებში—კომუნალური ორგანოები, ხოლო  
ქალაქებარე დასახლებულ ადგილებში—სათანადო სამიწათმოქმედო ორგანოები  
გადასცემენ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათ, სა-  
ჭარმოთ და ორგანიზაციით მიწის ნაკვეთებს. (როგორც ცარიელს, ისე შენო-  
ბიანს) აქტებით, რომლებშიც აუცილებლად აღინიშნება მხარეთა სახელწოდება,  
ნაკვეთების ოდენობა და ადგილმდებარეობა, მშენებლობის სახე (საბინაო, სა-  
ვაკრო-სამრეწველო და სხვა მისთ.), ასაგებ შენობათა ოდენობა, შენობის და-  
წყების და დამთავრების ვადები, სასყიდლის რაოდენობა და გადახდის ვადები  
(მუხ. 12), აგრეთვე იმ პირობების აუსრულებლობის შედეგი, რა პირობებითაც  
გადაიცემა ნაკვეთები.

უკეთ გადაიცემა შენობიანი მიწის ნაკვეთები, აქტით გაითვალისწინება  
აგრეთვე მიწის უვადოლ მოსარგებლის ვალდებულებანი იმ მდგმურთა მიმართ,  
რომელიც გადასაცემ შენობაში ცხოვრობენ.

5. უვადო სარგებლობისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ასაგები შენო-  
ბები და აგრეთვე უკვე მდებარე შენობები (მუხ. 3) ითვლება მიწის უვადოლ  
მოსარგებლის კუთვნილებად სახელმწიფოებრივი ან კოოპერატიული საკუთრე-  
ბის უფლების საფუძველზე.

ამასთანავე, ყველა წინად დადგებული საიჯარო ხელშეკრულება ამ ნაკვეთ-  
ზე შენობების სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ ძილასა ჰქარებას.  
მოიჯარეთა ყველა ვალდებულება მესამე პირთა წინაშე, რაც დაკავშირებულია  
ამ შენობის სარგებლობასთან, გადადის მიწის ნაკვეთის უვადოლ მოსარგებლებე-

6. მიწის ნაკვეთის უვადოლ სარგებლობის უფლება არ განიყოფება ამ ნა-

კვეთზე მდებარე შენობების საკუთრების უფლებისაგან და ისპობა უწოდებისა უფლების მოსპობასთან ერთად.

7. უკეთუ შენობა დაიღუპა (ცეცხლისაგან ან სხვა მიზეზისაგან, 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ ენარჩუნებათ მიწის ნაკვეთის უვადოდ სარგებლობის უფლება, იმ პირობით-კი, რომ ისინი შეუდებიან ამ ნაკვეთზე ახალი შენობის აგებას არა უგვიანეს, ვიღრე ერთი წლის განმავლობაში შენობის განადგურების დღიდან, და ააგებენ მას კომუნალური თუ სამიწათმოქმედო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ვადაზე; ეს ვადა სამ წელიწადზე მეტი არ შეიძლება იყოს.

8. უკეთუ მიწის ნაკვეთის უვადოდ მოსარგებლე დაარღვევს აქტით (მუხ. 4) დადგენილ მშენებლობის ვადებს და აგრეთვე გამოიყენებს მიწის ნაკვეთს არა დანიშნულებისამებრ, მიწის ნაკვეთი ყველა მასზე მდგრად შენობით გადადის, საქალაქო (სადაბო, სასოფლო) საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნისამებრ, სათანადო კომუნალური ან სამიწათმოქმედო ორგანოს განკარგულებაში, კუთვნილებისამებრ, და მიწის ნაკვეთის უვადოდ მოსარგებლეს აენაზღაურება მის მიერ გაწეული და გამოუყენებელი ხარჯები, ხოლო გადაპირება, კომუნალური თუ სამიწათმოქმედო ორგანოს სასარგებლოდ, მიყენებული ზარალი და პირგაუტეხელობის ჯარიმა.

9. უვადო სარგებლობისათვის გაცემულ მიწის ნაკვეთზე აგებული შენობები და აგრეთვე ამ ნაკვეთზე, უვადოდ სარგებლობისათვის გაცემამდე, მდებარე შენობები შეიძლება გასხვისებულ იქნეს მხოლოდ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაზე.

10. უვადო სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთისათვის მოსარგებლეს გადაპირება მიწის რენტა მომქმედი კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესისამებრ.

11. მიწის ნაკვეთები მშენებლობისათვის გაიცემა მიწის ნაკვეთების გადაცემის ყოველწლიური გეგმების საფუძველზე, რასაც სათანადო აღგილობრივი საბჭოები ან აღმასრულებელი კომიტეტები შეიმუშავებენ დადგენილი წესისამებრ დამტკიცებული დაგეგმვის პროექტების შესაბამისად.

იქ ქალაქებში, სადაც დამტკიცებული დაგეგმვის პროექტები ჯერ კიდევ არ არსებობს, მიწის ნაკვეთების გადაცემის ყოველწლიურ გეგმებს ამტკიცებს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

12. გაცემულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების (მუხ. 3) შეფასება სწარმოებს შემდეგნაირად:

ა) უკეთუ შენობა გადაიცემა შემდგომი ექსპლოატაციისათვის, მისი ღირებულება გაინისაზღვრება ამ კატეგორიის შენობებისათვის დადგენილი სამშენებლო ლიმიტის მიხედვით და გადაცემის მომენტისათვის შენობის მოძველების ანგარიშში მიღებით;

ბ) უკეთუ გადასაცემი შენობა დასაქცევად არის დანიშნული, იგი შეფასდება იმ მასალის ღირებულების მიხედვით, რაც შეიძლება მიღებულ იქნეს შე-

ნობის დაშლის შემდეგ; ამასთანავე, შეფასებას უნდა გამოაკლდეს შენობის დროული მომზადების დირექტულება; უკეთუ შენობის დაშლის სამუშაოების ღირებულება უდრის ან აღემატება იმ მასალის ღირებულებას, რაც შეიძლება მიღებულ იქნეს შენობის დაშლის შემდეგ, შენობა გადაიცემა უსასყიდლოდ.

13. შენობის მოძველების ოდენობა (მე-12 მუხლის „ა“ პუნ.) განისაზღვრება ამორტიზაციის ცნობების მიხედვით, ხოლო, უკეთუ ეს ცნობები არ არსებობს,—ესპერტიზით კომისიის მიერ, რომელიც შედგება კომუნალური ან სამიწათმოქმედო ორგანოს და ადგილობრივი საფინანსო განყოფილების წარმომადგენლებისაგან და იმ დაწესებულებისა, საჭარმოს და ორგანიზაციის წარმომადგენლისაგან, რომელსაც უნდა გადაეცეს მიწის ნაკვეთი; ასეთივე შედგენილობის კომისია შეაფასებს დასაქცევად დანიშნულ შენობას (მე-12 მუხლის „ბ“ პუნტი).

შენობის შეფასების გამო აღძრულ დავას გადასწყვეტს საქალაქო (სადაბო, სასოფლო) საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

14. სავაჭრო-სასაწყობო, საკუნძულორიო, საჭარმოო და სხვა არასაცხოვრებელ-სადგომიანი შენობის აგების შემთხვევაში (კულტურულ-საყოფაცხოვრებო მიზნით გამოსაყენებელი სადგომების გარდა), მიწის ნაკვეთის უვადოდ მოსარგებლე გადაუხდის სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს იმ პერიოდის განმავლობაში, რაც შენობა იარსებებს, ისეთ თანხას, რომელიც შეადგენს განსხვავებას სათანადო კატეგორიის სადგომის საიჯარო ქირასა, მომქმედი ტარიფის მიხედვით, და შენობის ამორტიზაციის ნორმალურ პროცენტება და აგრეთვე ამ სადგომის საექსპლოატაციო და შესანახ ხარჯებს შორის; ეს უკანასკნელი ხარჯები შეფარდებულ უნდა იქნეს ნორმალიზებულ ბიუჯეტთან, რაც დადგენილია სათანადო საქალაქო (სადაბო, სასოფლო) საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (სახლთმშართველობის პარატის შესანახი ხარჯები, კადრების მომზადების ხარჯები, სესხის სარგებლი და სხვა მისთ).

15. ამა დადგენილების მე-14 მუხლის წესისამებრ შემოსული თანხები მიიქცევა აღვილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალებში.

16. იმ პირო მუდმივ მდგმურთაგან, რომელიც გამოსახლებულ უნდა იქნენ უვადო სარგებლობისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობებიდან, რაც დასაქცევად, გადასაქთებელად ან აღსადგენად არის დანიშნული, მიეცემათ საცხოვრებლად ვარგისის ფართობი იმავე სიერცისა, როგორიც ფაქტურად ექირათ, ხოლო არა უმეტეს ამ აღვილისათვის დაწესებული სანიტარული ნორმისა; საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ მათ იმავე ქალაქის ან იმავე დასახლებული ადგილის ფარგლებში მუდმივი (არაბარაკული) ტიპის შენობებში; აგრეთვე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადასასახლებელთ მიეცემათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი და სატრანსპორტო საშუალებანი.

17. საცხოვრებელი ფართობის მიცემის მოვალეობა (მუხ. 16) ეკისრება მიწის ნაკვეთის უვადო მოსარგებლეს; ამ უკანასკნელს უფლება აქვს, მისთვის

გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მდებარე დასაქცევი, გადასაკეთებელი ან აღმოსავალი დეგნი შენობიდან გამოსასახლებელ პირთა მოსათავსებლად, გამოიყენოს ახლად აგებულ სახლებში ჩასასახლებელთა საცხოვრებელი ფართობი. უკუ არავინ არის გამოსასახლებელი დასაქცევი, გადასაკეთებელი და აღსაღენი შენობიდან, ზემოაღნიშნული უფლება ახლად აგებულ სახლებში ჩასასახლებელ პირთა საცხოვრებელი ფართობის გამოყენებისა მიწის უვადოდ მოსარგებლეს არა აქვს.

18. შემდგომი ექსპლოატაციისათვის დანიშნულ შენობებში მცხოვრებ მოქალაქეთა საბინაო უფლებანი და აგრეთვე იმ პირთა და ორგანიზაციათა უფლებანი, რომელიც ამ შენობაში არასაცხოვრებელ ფართობს სარგებლობენ, მოწესრიგდება მომქმედი კანონმდებლობით და აგრეთვე მიწის ნაკვეთის უვადოდ მოსარგებლისათვის შენობის გადაცემამდე არსებული ხელშეკრულებებით და უფლებრივი ურთიერთობით.

19. მომქმედი კანონმდებლობით მეაღნაგეთათვის დადგენილი საცხოვრებელი სადგომების გამოყენებისა და სასყიდლის გადახდევინების უფლებანი ვრცელდება აგრეთვე მიწის ნაკვეთების უვადოდ მოსარგებლებზედაც მათ მიერ ამ ნაკვეთებზე აგებული შენობების მიმართ.

უვადო სარგებლობისათვის გაცემულ მიწის ნაკვეთზე აგებული არასაცხოვრებელი სადგომის ქირას უვადოდ მოსარგებლე ახდევინებს იმ ტარიფების მიხედვით, რაც დაწესებულია ადგილობრივი საბჭოს მიერ მუნიციპალიტებულ შენობებში მოთავსებული არასაცხოვრებელი სადგომებისათვის.

20. ამა დადგენილების გამოცემისთანავე, მიწის ყველა ნაკვეთი, რაც გადაცემული აქვთ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ აღნავობის უფლებით, ითვლება მათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემულ ნაკვეთებად, ხოლო ისე-კი, რომ აღნავობის ხელშეკრულებით დადგენილი შენობათა აგების ყველა ვალდებულება უცვლელად ჩერება. აღნავობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასყიდელი ძალაში რჩება 1935 წლის იანვრის 1-მდე, ხოლო ამ ვადის შემდეგ ეს სასყიდელი დაწესებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების შესაბამისად.

21. მიენდოს საქართველოს სსრ კომისარი მეურნეობის სახალხო კომისირიატს—გამოსცეს ერთი თვის ვადაზე, საქართველოს სსრ ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, ისნტრუქცია, რომელშიაც, კერძოდ, გაითვალისწინოს:

- გადასაცემ შენობათა შეფასების განსაზღვრის წესი და ხერხი;
- ასაგებ შენობებში სავაჭრო-სასაწყობო და სხვა, არასაცხოვრებელი ხასიათის, სადგომების სასყიდლის გამოანგარიშების წესი და გადახდის ვადები;
- აგებულ სახლებში გადასასახლებელი მდგმურების მიერ განთავისუფლებული სადგომების გამოყენების წესი;
- მეაღნაგეთა სასყიდლის გარდაანგარიშება, ამა დადგენილების შესაბამისად მომქმედ სააღნავო ხელშეკრულებათა შეცვლასთან დაკავშირებით.

22. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს — შეიძლება მას ერთი თვეის ვადაზე პროექტი საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

სრ. საქ. ც.ა.ქ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიუმილი.

სრ. საქ. ც.ა.ქ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ივნისის 16.

ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამოვცხადი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს  
საქმ. მმართველობა 1934 წ. № 45 პ/მ. რედაქტორი მ. გამრეკელი

ქადალდის ფორმატი 62X94 სანტ.; 3/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტანდ. ნიშანი  
გადაეცა სტანდა 29/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VIII; ტირაჟი 2.000

მთავლინი ს.—№ 67 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტანდ. შეკვ. № 1243